დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 32 08
29/05/2020

,,სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 აპრილის №31 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება ,,სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 აპრილის №31 08 განკარგულებაში და 1 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით, ქ. დმანისში, ნანა დედოფლის ქუჩაზე მდებარე 1365,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 82.01.42.348) მასზე არსებული შენობა-ნაგებობით.''

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე